

ბაზეთი ღირს:

12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტელეგრაფი.  
ბაზეთის დასაბარაოდ  
და განცხადებებთა დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა  
გამოერც. საზოგადოების კანცელარიის  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეგრაფი № 227

„ივერიის“ ტელეგრაფი № 227

## კვილის აქიბი ა. ე. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე  
დილის 9-დან 2-მდე და რაშუადღე-  
ვის 5-დან 7-მდე.  
მიხეილის ქუჩა № 32.  
(10-უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო  
ექიმის ნავასარდანიასა  
(კუთხაში, ვორთკოვის ძველი პირდაპირ)  
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ  
დღე, კვირა დღეებს გარდა.

დიდობით:  
ბ. ა. ნავასარდანი, 11—12 საათ.  
სადოსტატო, ვენერიული (სიფილი-  
სი) და საზარდეს ავადმყოფობანი.  
მ. ჩაქავანი, 9—11 საათ. სნე-  
ულეობანი: შინაგანი, თვალისა და ნერ-  
ვებისა.

მკურნალი-ქალი, ა. ა. ზუგუნია.  
10<sup>1</sup>/<sub>2</sub>—11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათ. ალთა სენით  
და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ  
ყვავილს აუტრის.

ზ. ა. ბაზანასანი, 11<sup>1</sup>/<sub>2</sub>—  
12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კანაშვილი, 1—1<sup>1</sup>/<sub>2</sub> სა-  
ათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგია, 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—2<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. ში-  
ნაგანი, და საზარდეს ავადმყოფობის.  
ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.  
სადამოაოთ:

გ. მ. მახვილაძე, 6—7 საათ.  
შინაგანი და ბავშვებს ავადმყოფ-  
ნერვებისა და კანის სნეულბ.

## ფელეტონი

თ რ ი ა ლ ი ი

ავტო დაღვრემილი დღილები და  
საშინელი ხრამეი დარდა-ამოღელ  
ნანგრევებით, ნასოფრებით, ლო-  
დებით გადაშავებულ სასაფლაოე-  
ბთ... ყველაკან კვალი: ბრძოლისა,  
ართა კბილ-ღრქენისა და მეომარ-  
თა წყევა-კრულვისა, ტყვიებით გან-  
გმირულნი დგანან დიდ-შენნი თლი-  
ლის ქვის ტაძარნი, ცხე-გალავანნი  
ხრამებში, ტყეებში, დაკალიერებულ  
მინდვრებზედ და მთის წვეროვებზედ...  
ჩანს სოფლები გაკუბულის სახ-  
ლებით, ქვევით შეზღუდულ კარმი-  
დამოებით და მიობლებულ საყდრე-  
თ... მე-VIII, მე-IX, მე-X,  
და XI საუკუნოებში სდულდა აქ  
სიციცხლდე, როცა საქართველო-  
ში ჰმეფობდნენ ბაგრატი მესამე და  
მეოთხე, გიორგი, როცა სიმამაკე  
დავით-კურატალატისა აოცებდა  
მტრებს და როცა ამ არე-მარეს კლდე-  
კარამდე და სამშვილდემდე დაქრო-  
დნენ უფროს-უმცროსი ლიბარტნი,  
რატო და იოანე ორბელიანნი, იოან-  
ნე აბაზაძე და სხვანი... მაინც და  
მაინც უფროსი ლიბარტ ორბელიან-

ბ. ა. ნავასარდანი—6<sup>1</sup>/<sub>2</sub>—7 საათ.  
ტ. ა. ზუგუნია—სამკურნალომ  
გამოიკვლევს ქიმიურად და მიკ-  
როსკოპიურად შარდს, ნახველს.  
სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-  
ლის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფა-  
ოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისა-  
თვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო საექსპე-  
რი მადიანისა ნავასარდანი.  
Первая частная лѣчебница Д-ра На-  
васардиана.  
Тифлисъ, противъ памяти. Воронцову-  
(7)

## მთავრობის ბანკარგულეობანი

ხელშეწყობი იმპერატორმა, უწმ. სინოდის  
გარდაწყვეტალების თანახმად, ყოველდ უმო-  
წყალესად კეთილ იწება და 11 ამა აგვის-  
ტოს უბოძა 50 წლის სამსახურისა გამო,  
საქართველოს ეპარქიის პატარა-მეფერისხე-  
ვის მიძინების ეკლესიის მღვდელს გიორგი  
ხახუტაშვილს ორდენი წმ. ვლადიმირ-  
ის მე-4 ხარისხისა.

გზოძათ სამსახურის წელთა შეჩურღე-  
ბისა გამო კოლეჯის სერეტრობა სინოდის  
სამხრო პოლიციის გამგეობის შტატს გა-  
რეშე მყოფ მეცხრე კლასის მოხელეს იოსებ  
ზაღდასტანი შვილს; გუბერნსკი რე-  
გისტრატორობა—თელავის სამხრო პოლი-  
ციის გამგეობის მეფე კლასის მოხელეს,  
თავად ლუარსაბ მაყაშვილს და კოლეჯ  
სკი რეგისტრატორობა—თიონეთის სამხრო  
პოლიციის გამგეობის კანცლარიის მოხე-  
ლეს ვასილ იორაშვილს.

ნი იყო ამ მხარის მამაცა და მამინა-  
ცვლიც. შენობებს, ეკლესიებს  
ბევრგან აწერია ამ დაუძინებელ და  
თავ-მოყვარე კაცის სახელი... თურ-  
ქთა გაძლიერებამ, რომელიც აქ და-  
იწყო არა-ასლანის შემოსევიდან,  
მოსრნა ეს მხარე. მაშინ დაინგრა  
აქ ძლიერი ციხე ლალისა, მდებარე  
ორთა ხრამთა შესართავში, მშვე-  
ნიერ ფიდარეთის მონასტრის შემოდ-  
გან. გულს გითუთქავთ დღესაც ეს  
დიდებული ეკლესია ფიდარეთისა,  
დაცული თავისის მხატვრობათა-ცკი  
მღვამარე დიდის ხრამის პირას მრავ-  
ალის კლდე-მალარობით. ზევით და  
ქვევით მთელის ხრამის მიდამონი  
ნანგრევებია მარან-საწინახელთა და  
ნაოხარნი ვენახ-ბაღთა. ბევრგან უშ-  
ველებელი ვაზი გასულა მრავალ  
წლოვან ხეზედ და მშვენიერის მტე-  
ვნებით დაჰყურებს ნაოხრებს...

აი, ზღვა საფლაოთა შორის დაჩო-  
ქილა უზარ მხარე ლოდინგან გამო-  
ქანდაკებული მეომრის ცხენი უნაკი-  
რით, რახტი; დაღვრემილი წამო-  
უწყდია ხავს მოკიდებული, მაგრამ  
მშვენიერად მოღვრებული კისერი,  
ვინ იცის, რომელ საქართველოს  
გმირს ჰდარაჯობ და დაჰყურებ, პა-  
ტიოსანო პირუტყვი?! ზოგან ჰხე-  
დავთ უზარ-მხარის ლოდზედ დახა-  
ტულს მეომარს იარაღით, ან კიდევ  
უშველებელ ტინიდგან გამოქანდაკე-  
ბულ ჯვარს, მიწაში ჩაფლულს.

## ახალი ამბავი

\* კავკასიის მთავარ-მართებელი  
გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გო-  
ლიცინი, შაბათს, 22 აგვისტოს, ნაშუ-  
ადღევის 4 საათზედ, ტფილისს ჩამო-  
ვიდა კოჯრიდან და იმვე დღეს  
ღამის მატარებლით ბათუმს წავიდა.

\* გუშინ წინ, 23 აგვისტოს,  
სიონის საკათედრო ტაძარში ეპის-  
კოპოსად აკურთხეს ქვათახევის მო-  
ნასტრის წინამძღვარი, არხიმანდრი-  
ტი კირიონი. მწირველად იყო მისი  
მალალ ყოველად უსამღვდელოესობა,  
საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე  
და მანვე შეასრულა წესი კურთხე-  
ვისა. ექსარხოსს ეხმარებოდნენ ყო-  
ველად უსამღვდელოესნი ეპისკოპოს-  
ნი გურია სამეგრელოსი ალექსანდ-  
რე, იმერეთისა—ბესარიონი და გორი-  
სა—ლეონიდე; არხიმანდრიტი ტფი-  
ლისის სასულიერო სემინარიის რექ-  
ტორი ჰერმოგენი და შემოქმედის  
მონასტრის წინამძღვარი იონა; საკა-  
თედრო ტაძრის დეკანოზი მ. ელიე-  
ვი, სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-  
მონაზონი დიმიტრი, კანდელაკი სიო-  
ნის ტაძრისა მ. თოთბაძე და სხ.

მთელი სიონის ტაძარი და ეზო საე-  
სე იყო ხალხით, რომელმაც დილი-  
დანვე მოიყარა თავი. საკურთხევე-  
ლი ავესოთ სასულიერო წოდების  
კაცთა, რომელთა შორის ბევრნი სხვა  
აღვლებიდან იყვნენ ჩამოსულნი.

თრიალეთი სავსეა უზარ-მხარის  
ტინებით, ქვევითა და ლოდებით,  
რომელნიც გვითვალისწინებენ უზ-  
სოვარის დროის მთის გულში  
ცეცხლის ბრძოლას. ქვევის ზე-  
და პირის ნაცვეთობა, მათი  
დაჩკრეტნილობა, თვით მთების გა-  
რეგნობა, რომელნიც ბევრგან ცარ-  
ცისაგან შესდგეა შიგ გაქვავებულ  
მრავალ ლოკოკინებით, გვამცნევს,  
რომ არც წყალს დაუკლია ამ ადგი-  
ლებისთვის თავისი ბატონობა.

\* თრიალეთი ორ მთა-ვაკეს წარმო-  
ადგენს: ქვევითა უფრო დაბალს და  
მეორე ზედმოდგმულს და უფრო მა-  
ღლობ მთა-ვაკეს, განთქმულს თავი-  
სის საზაფხულო იალაღით. ძირის  
მთა-ვაკე თრიალეთისა წარმოადგენს  
როგორც გაშლილ მინდვრებს მშვე-  
ნიერ შავ-მიწა სახნაურებით და ნო-  
ყიერ სათიბ-საძოვრებით, ისე მთა-  
გორიან ალაგებს, მაგრამ უფრო  
თვალს ვერაშორებთ ხრამ-ღრანტებს,  
დაფარულს უშველებელის ტყეებით.  
შიგ ხრამებში-კი მოსჩქებს საშინელ  
ლოდებზედ ლურჯი მდინარენი სავ-  
სენი კალმახითა და ლურჯა თევზით,  
რომელთაგანაც გამოჰყავთ გათქმუ-  
ლი ხრამული. ტყეების ბუჩქებ შო-  
რის მრავალია ყოლო (малина),  
როგორც წითელი, ისე თეთრი  
აზა ხაღი (смородина красная и  
черная), მოცხარი და სხვ... უმშვენიე

ტაძარში ექსარხოსის ხორო ჰგალო-  
ბდა. კურთხევის წესის შესრულე-  
ბის შემდეგ, წირვის დროს თვით  
ახალად ნაკურთხმა ეპისკოპოსმა  
მღვდლად აკურთხა მ. იაკიმოვიჩი,  
კიევის სასულიერო აკადემიის კანდი-  
დატი. წირვის შემდეგ, გარდასცა რა  
ეპისკოპოსს კირიონს კვერთხი, მისმა  
მეუფებამ ექსარხოსმა მცირე სიტყ-  
ვით მიჰმართა. „აღიღე ესე კვერთ-  
ხო, სთქვა მან, და ჰმწყემსე სამწყსო  
ქრისტესი, აკურთხე სამწყსო შენი და  
წარიყვანე იგი გზასა სიმაართლისასა,  
სამართლიანობისასა და ქვემარტსა-  
რწმუნოებისასა.“

ღვთის მსახურების შემდეგ კურთ-  
ხევაზედ დამსწრე ეპისკოპოსები და  
აგრეთვე ეპისკოპოსი კირიონი  
მალალ ყოველად უსამღვდელოესს  
ფლაბიანესთან იყვნენ სადილად მიწ-  
ვეულნი.

\* ტფილისის გუბერნატორი თ.  
ა. ბიკოვი დღეს, 25 აგვისტოს, დი-  
ლის მატარებლით ტფილისიდან  
ბორჯომს წავა.

\* პარასკევს, 21 აგვისტოს, რე-  
სეთის საზოგადოების გემით მოვი-  
და ბათუმში გუდაუთიდან ქუთაისის  
სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე  
გენერალ-მაიორი ა. ა. სამოილოვი  
და შაბათს დილით ამიერ-კავკასიის  
რკინის გზით გაემგზავრა ქუთაისს.

\* ამ დღეებში დაიბეჭდება ახა-  
ლი სხალხო წიგნაკი: „სინი წარ-  
სულინა“, ისტორიული ამბავი, და-

რისი ყვავილები, რომელთაც მეწა-  
ლკოტენი ულოლიავებენ თავიანთ  
ბაღებში, აქ ათასობით ამშვენებს  
მდღოს: თვალს ვერ მოარიდებ მე-  
ტად ფერადსუნიან ცერცველას (Ду-  
шистый горошек), მრავალ ჯი-  
შიან იონჯას, ასტრას, ნემოფალას  
და ლაკვიანის მ გავს ყვავილებს.—  
ფუტკარი აქ მრავალია და თაფლიც  
ამისი ნაქებ ცაცხვის თაფლს (Липо-  
вецъ) გაცილებით აჭარბებს სურნე-  
ლოვანებითა და სინაზით... ქართ-  
ველთ ნაოხრებზედ დღეს დასახლე-  
ბულან თურქთა მოდგმის თათრები,  
სათათროდგან გადმოსულნი, და მო-  
ნობისაგან გაუბედურებულნი ბერ-  
ძენი, სომხები. აქვეა ახალშენები  
გერმანელთა, რუსთა ჯართა სად-  
გომ-ახალ-შენნი—მანკლისი, პრივო-  
ლი და ახ-ბულახი (Бѣлый ключъ)  
და მრავალ ღუზბოროთა მოსახლობა.  
ქართველობა მცირედა შეჭრენია  
ძველს ნასადგომრებს. ამათი სოფ-  
ლებია: დიდი გომარეთი, ახა, ბალი-  
ქები, ქვეშე, დმანისი, ბოსლევო,  
დარბაზი, კიანეთი, აკაუთა, ყალამა,  
ლი და ახ-ბულახი (Бѣлый ключъ)  
და მრავალ ღუზბოროთა მოსახლობა.  
ქართველობა მცირედა შეჭრენია  
ძველს ნასადგომრებს. ამათი სოფ-  
ლებია: დიდი გომარეთი, ახა, ბალი-  
ქები, ქვეშე, დმანისი, ბოსლევო,  
დარბაზი, კიანეთი, აკაუთა, ყალამა,  
ლი და ახ-ბულახი (Бѣлый ключъ)  
და მრავალ ღუზბოროთა მოსახლობა.

წერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ,  
იბეჭდება ექვსი ათასი ცალი. წმინდა  
შემოსავალი გამოცემისა, რომელიც  
შეადგენს ექვს თუმანს, მიემატება იმ  
ფულს, რომელიც იკრებება მცხეთის  
სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსახლებ-  
ლად.

\* კავკასიის სამკურნალო ნაწი-  
ლის გამგეს პ. ა. გლავაცკის დაუმ-  
თავრებია დაღესტანში რევიზია და  
გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

\* მიწათ-მოქმედებისა და სახელ-  
მწიფო ქონებათა მინისტრს გამოუ-  
გზავნია მომავალ კავკასიის საბაღოს-  
ნო გამოფენის ექსპონატების დასა-  
ჯილდოებლად ერთი დიდი და ერთი  
პატარა ვერცხლის მედლები და ორიც  
ბრინჯაოს მედალი.

\* ნაძალადეველეს განუზრახავთ  
„ნაძალადევი“ ააშენონ მართლ-  
მადიდებელთათვის ეკლესია და ამ  
აზრით ამოურჩევიათ კომიტეტი, რომ-  
ლისათვისაც მიუწვდიათ ფულის მო-  
გროვება ეკლესიის ასაშენებლად. ამ  
დღეებში ამ კომიტეტის წევრთა სია  
წარუდგინეს დასამტკიცებლად მის  
მალალ ყოველად უსამღვდელოესობას  
საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს.  
ქალაქის გამგეობა ნაძალადევიში  
მცხოვრებელთა 500 კომლს აძლევს  
600 ოთხ-კუთხ საყენს მიწას საეკ-  
ლესიოდ.

\* ამას წინად მოხსენებული გვეკო-  
ნდა, რომ 21 ივლისს ტფილისის  
საგუბერნიო საპატრიარქოს მუშაო-

მალღებლის ძირზედ საქართველოს მე-  
ფეების დროს მიღწეილა სავაჭრო  
გზა სპარსეთიდან დაწყებული გან-  
ჯა-ყარაბაღამდე კლდე-კართან. ერთი  
შტო ჩაღწეილა ატენზედ გორისკენ  
და მეორე დიმიხის ტბის ნაპირებ-  
ზედ ახალციხე, ახალ-ქალაქ, კულა-  
არტანისკენ... ამ გზის ნაპირებზედ  
დღესაც შენახულა უზარ-მხარე ქარ-  
ვასლის ნანგრევები, რომლებშიაც...  
ქარანები ისვენებდნენ. გასცილდები  
ამ ქარვასლებს და შეუდგები კალ-  
თებს მალალ მთა-ვაკე თრიალეთისას,  
რომელთა ღრანტებში ზაფხულობი-  
თაც სავსეა თოვლითა და უზვი-  
ცივის წყაროებით. ასცილდებით მთე-  
ბის კალთებს და გარდაგვლვებთ უშვე-  
ლებელი მთა-ვაკე თრიალეთისა და  
ზედვე ჯავახეთისა, უძვირფასესი ყვა-  
ვილთა და ბალახთა მოლით, რომ-  
მელზედაც უფრო ღვთაებას შეჭვე-  
რის მიმოსვლა, მხოლოდ თუ კაცმა  
ჩააკონა თავისი დამშვრალი გული,  
ყველა სევდას მიივიწყებს!..

ამ მალლობ ვაკეზედ მაინც კიდევ  
აყულებულა რამდენიმე სიმაღლენი:  
აგრი-ყალა, ამლიკო, ქაჩალგორი,  
ქაროლდის მთა. ქაროლდის მთის  
ძირში მოთავსებულა უშველებელი  
მთა თაფორავანისა. ქაროლდის  
მთიდან უზარ მხარე ცისკიდური  
იშლება ძველს ტანჯულის საქარ-  
ველოსი: მთას უკან გასდევს ჯავახე-  
თი, ზედ ებმის არტანი, კოლა, რკი-

\*) ასეთია სოფელი ფარცხამი, რომელიც  
კალიერი ჰადგას ხრამის პირზედ ველიშანთ  
სოფელ ზემოდ.





ვლად დამთავრებული სსკანკან კანკან...  
ბინას სწავლა. გაათავებენ თუ არა,  
მაშინვე უნდა შეუდგნენ მიწის მუშაობას  
და თუ ქართული წინა-კითხვა არ  
იციან, ხომ ისე უნდა დანერგონ ჩათვ-  
ლებანი?

მედივინე სერგო

### ნარკვევი

(ქურნალ-გაზეთობიდან)

გაზ. „Сиб. Вѣд“ მეტად საყურადღებო ცნობები დაბეჭდილი გუ-  
რიაში სწავლა-განათლების გავრცე-  
ლების შესახებ.

„არამც თუ მარტო იმერეთში, არამედ  
საქართველოში, სწავლის ხსენება უნდა  
გაგონდეთ, არამედ რუსეთის იმ გუბერნიებშიაც  
ვერ უჭიჭებდით იმდენს, რასაკვირვე-  
ლია, მისწავლებლათა რაოდენობის  
კვლეობაზე, პირველ-დაწყებით ნა-  
რამდენად სწავლებლებს, რამდენად  
გურამთა (ქუთაისის გუბერნიის  
რუსურგეთის მხარეში). ამ მხარის  
25 სოფლის საზოგადოებაში საერთო  
განათლების სამინისტროს 32 სკო-  
ლა და 75 სამკვლელო-საგვერდო  
სკოლაა. საყურადღებოა ის, რომ  
მისწავლებლები თვით სამსწავლო  
უწყების დაუხმარებლად, თავისი  
ხარჯით აარსებენ ამ სკოლებს და  
ამუშავენ მშენებელს, მოწყობილ  
სადგომებს მასწავლებლობის: უფარ-  
ბისი გლეხ-გურული, რომელიც ისე  
სწავლობს, რომ ნახევარზე და-  
თქმის მშენებელს და ყოველს სამო-  
გონებელს მკვლევარი, ისევე სკოლე-  
ბისა და მასწავლებლების შესახებ  
მეტად დადს განდასხვადს, ამ ქო-  
ნება და აქლა-დადგასთან შედარე-  
ბით, მის პატრონი იცის. ასეთი  
მხურვალე მონაწილეობა სკოლის სა-  
ქმეში იმათი ახსენება, რომ ადგი-  
ლობრივ მისწავლებლთ (ქართულ-  
ებს) გარდა აქეთ შეგნებულნი სწავ-  
ლა-განათლების მნიშვნელობა და ის,  
თუ რამდენად საჭიროა მათის  
შეკლებასათვის რუსულის ენის  
შესწავლა. ისინი დადის ხნის  
გამოცდილებამ დაარწმუნეს, რომ  
სასწავლო მუშაობის უფროსობაში-  
თი შედეგები მუდამ დადს განაგრძობს  
იქმნება; გარდა მისწავლებელს  
სოფლის მწვერული რაოდენად ხდება  
მათი უფროსი, წინამძღოლი და, მა-  
შასადამე, მათი ქონების პატრონი  
მარტო იმდენად, რომ ამ მწვერულმა  
წინ-კითხვა და დახმარება იცის რუ-  
სულს ენაზედა“.

### რუსეთი

როგორც სატანტო ქალაქის გა-  
ზეთები იუწყებიან, წელს საისტო-  
რიო-საფილოლოგო ინსტიტუტში  
მისაღები ეგზემენები ძველ ენებში  
გაიდვილებულია. წინაღვე გამოცდის  
დროს თხუთმეტი აწერინებდნენ  
და ათარგმნიდნენ რუსულ ენი-  
დან. გარდა ამისა, საისტორიო-  
საფილოლოგო ინსტიტუტი ერთად-  
ერთი უმაღლესი სასწავლებელია  
რუსეთში, სადაც სემინარილებს  
იღებენ. შარშან ინსტიტუტის მთავ-  
რობამ ნება-ართვა აიღო, რომ ინს-  
ტიტუტში, სასულიერო სემინარიაში  
კურს დათავრებულ გარდა, მიიღონ  
ხოლმე აგრეთვე ისინიც, ვისაც მხო-  
ლოდ სემინარიის ოთხი კლასი აქვს

გათავებული, როგორც ეს სამოცდა  
ერთეულ წლებში იყო.  
— „Сбор. узак. и расп.правит.“  
ში გამოქვეყნებულია უმაღლესად  
დამტკიცებული დებულება ახლად  
დაარსებულ ვარშავის მე-III საიმპერა-  
ტორო პოლიტექნიკუმის შესახებ. ინს-  
ტიტუტის შესახებ ხაზინიდან გადა-  
ღებული იქმნება 1898 წელს—  
43,625 მანეთი, 1899 წელს—  
122,137 მან., 1900—180,125 მან.,  
1901 წელს—227,037 მან. ხოლო  
1902 წელსა და შემდეგ წლებში—  
261,600 მან. პროფესორების და-  
ნოვნა მიენდო ფინანსთა მინისტრს.  
ინსტიტუტი უმეტესად სამის განყო-  
ფილებისაგან: საქმიო, სამეცნიერო  
და საინჟინერო-სახელო-მოდერნი-  
საგან. ინსტიტუტთან იქმნება წიგნთ-  
საცავი, საქმიო ლაბორატორია,  
ლაბორატორიები ქიმიურ ტექნო-  
ლოგიისა და მეტალურგიისა, საფი-  
ზიკო კაბინეტი, სადგური მანქანების  
გამოსაცდელად და სხვანი, სწავლა  
ოთხს წელიწადს გასტანს, ხოლო  
ნახევარ წლის სწავლის ფასი 50  
მანეთია. ეს ფული წინაწინვე უნდა  
იქმნეს შეტანილი. უკანასკნელის  
კურსის ის სტუდენტები, რომელნიც  
კარგად გარდაიხდიან ეგზემენს, მიი-  
ღებენ წოდებას: სამეცნიერო და სა-  
ქმიო განყოფილებებში დამთავრე-  
ბულნი—ინჟინერ-ტექნოლოგისა, ხო-  
ლო ინჟინერ-სახელო-მოდერო გა-  
ნყოფილებაში დამთავრებულნი—ინ-  
ჟინერ-ხელო-მოდერისა.

### უცხოეთი

ჩინეთი. ჰეინიდაგან გაზ. „Daily  
Mail“-ს დაეპოთ ატუობინებენ: „საქ-  
მის კითხვებში ამ ბოლოს დროს მწვა-  
რე სასიკეთო მიადო. დამოკიდებულება  
ცნობილია იმდენად და ინგლისის ელჩს  
შორის ამ ზომამდე გაწვევდა, რომ  
შეიძლება შეტყობდეს მისთვის. ინგლი-  
სის ელჩმა გამოუცხადა ჩინეთის მთავ-  
რობას, რომ თუ არ აღსრულებს ინგ-  
ლისის ყოველივე მოთხოვნა, რამე  
მოხდება. ინგლისის ფლოტი ამ უა-  
მაღ კე-ში-გის და ხსენაუსთან სდგას.  
ასრულდა აქეთ ჩინეთის წინამძღოლ  
მან-სიფიტაცია მოახდინონ“. ჰეინი  
„დადგომის სასტიკი“ იუწყება: „ამ  
დღეებში ინგლისის ელჩს, მაკ-დონ-  
ალდსა და რუსეთის ელჩს შავლევს  
ცხარე ლაშარავი მოუვიდათ. ამის მი-  
ყვანი იყო, რომ შავლევმა მოსთ-  
სოვა ცნობილი-ამენს გაუქმეთ ის  
სელ-შეკრულება რეინის გზის გაყა-  
ნის შესახებ, რომელიც განკონგის  
ბანკთან დასდეთ. საზოგადოდ, საქმე  
ისე ახსოვდას არ გამოწვევებულა, რა-  
გორც ესაა არის გამოწვევებულა. ნიუ-  
იუ-ჯორკში რუსეთის მოხელეთა და ინგ-  
ლისის მემამულეთა შორის, ისე დღე  
არ გაა, რომ შეტყობა არ მოხდას.  
პარტ-არტურში რუსები ესაა დადს  
მსადაბში არიან. რუსეთის ყველა გე-  
მები ამ ნათ-სადგურში დაბრუნდნენ“.  
საზოგადოდ ამ ბოლოს დროს ჩინე-  
თის გამო რუსეთსა და ინგლისს  
შორის მომხდარმა დაბლადადგომამ  
შეტყობდეს ბევრს ახსენებდა. სხვათა  
შორის აი, რასა სწავს გამოჩენილი  
მეცნიერი და მოგზაური ვაშლი: „მე  
იმედი მაქვს, რომ ჩინეთი მალე გამო-  
იღებებს. ზღვას სახანაო ქალაქების  
წყალობით ჩინეთში დღითი დღე გან-  
თლება და ევროპის კულტურა ვრცელ-

დება. ინგლის-ამერიკის სკოლამ თავისი  
საქმე გააკეთა და გაგებინა ჩინელებს,  
რას არის სწავლა-განათლება. ყველა ეს  
რუსეთისათვის სასიამოვნოა არ არის  
და სწორედ ამით ახსენება ის გარემო-  
ება, რომ რუსეთი სწავლობს მსაწე-  
დაწერილს და დაანარჩუნოს მანკური-  
ის სამეფო გვარეულობა. ინგლისში-კი  
ჩინელების ასეთი გაღვივებას სისხრე-  
ლით ეგებებან. თუ სამეფო გვარეუ-  
ლობა თვალსაჩინოა და კერძოებს ეკ-  
რა ხედავს, ხალხს კარგად იცის, რა  
მოკლის მას რუსეთისაგან“.

ოსმალეთი. კონსტანტინოპოლიდან  
გან იუწყებიან: „სამ დადს, რომ მე-  
ში ოსმალებმა და ქურთებმა ხელსაღ-  
ამოსწვიეს სომხებო. იქადაგან მ-  
სულ დაეპოებინან არა სხანს, რა იყო  
ამის მიზეზი. დაეპოებინა ნათქვამია  
მხოლოდ, რომ მუშის მასლობადა  
მდებარე ორ დაბაში აუარებელი სომე-  
ხი იქმნა მოკლული და დაჭრილი“.  
— იქადაგან სწავს გაზ. „Frank-  
Zeitung“-ს. „მინისტროს საბჭომ  
არ შეიწყინა გარდაცვალების შემდეგ  
გამოცხადება მინარე აზარში რეინის გზის  
გაყვანის შესახებ“.

სპარსეთი. თეირანიდან დაეპოთ  
ატუობინებენ „Times“-ს, რომ თავ-  
რისში ამ უამად დადი არეულობა და  
შეწყობაა. პოლიციას რომ კერძოები  
გაუწყებენ, მუშაობენა წინამძღოლ  
ჯანს თხოუბეტი გაცი მოუკლავს. მუშ-  
ბოხებს მრავალს შეკლებულს სპარ-  
სელის სახლად გაუნდგურებოთ და გაუ-  
მარცხავთ.

საზრანეთი. გერმანიის ქურნალ  
გაზეთები ბერს სწავს ამ უამად სა-  
ფრანკეთის საგარეო პოლიტიკის შესა-  
ხებ და ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც  
მელინის სამინისტრო დაეცა, საფრან-  
კეთის საგარეო პოლიტიკამ სხვა მამა-  
რთულება მიიღო. გარეუ საქმეთა  
ახალი მინისტრი ბი დელკასი ბერ-  
ში არ ადგია იმ გზას, რა გზასაც იმის  
წინამძღოლი ბი განტო ადგოა.  
მაცალითად, ესაზნა. შეერთებულს შტა-  
ტების საქმეში საფრანკეთი დაწმირდა  
რუსეთს და მამან, როდესაც ეს უგან-  
სკვლევი სწავლობდა მეკობრეობა და  
მოკვლეულება ქვემოდა შეერთებულ  
შტატებთან. საფრანკეთი დადს თან-  
გდმობას უცხადებდა ესაზნას, სოლო  
საფრანკეთის ელჩი იცავდა ესაზნის  
ინტერესებს. გარდა ამისა გარეუ  
საქმეთა ახლის მინისტრის წყალობით  
დამოკიდებულება ინგლისსა და საფრან-  
კეთს შორის ამ ბოლოს დროს უფ-  
რო გამოწვევდა, რის გამო აღონდნენ  
მეფო ინგლისის ელჩი ბარონ კურსელი  
თანამდებობას თავს ახებებსა.

### დამაკვირდი

დადროს ეს არის, კანმა რომ კანც  
არაფერზედ არ დაინდოს.  
ნიკოლოზ ტფილელი  
\*\*\*  
კითარ უცხოდა არს ბნელისაგან ნა-  
თვლი, კერეთ კეთილთა სათნოებათ  
სიკეთე ცრუდ ზეობას კიდევან არს  
ყოველადგე.  
იოანე  
\*\*\*  
აღაბულებათი ნუ ავსებ  
წმინდად გარცხილას შენას!  
დავით გურამიშვილი

შურნალ-გაზეთობიდან  
(ამოკრებილი ამბები)  
რუსეთის გაზეთებში სწავია: „პოლოლის  
გუბერნიის სოფელ სარნოვკაში სტოგორის  
ერთი მდიდარი კაცი ბ-ნი მ-კო. რომე-  
ლიც დიდს ფულსა ჰპარჯავს სხვა-და სხვა  
ახალ გამოგონებაზე.  
ამას წინაღ იქაური მემამულენი მიწვეულ-  
ნი იყვნენ მ-კოს მამულში ქალაქის სახ-  
ლის კურთხევაზე. ამ ამბავმა ყველანი ძლი-  
ერ გააკვირვა და ამიტომ სახლის კურთხე-  
ვას ძლიერ ბევრი ხალხი დაესწრო. მშენი-  
ერ ბალის შუა გულში გამოქობილი იყო  
ორ-სართულიანი სახლი მიხაკის ფრად შე-  
ღებილი. კურთხევის შემდეგ სახლის პატ-  
რონმა წაიყვანა სტუმრები სახლის დასათვა-  
ლიერებლად, რომელიც აგებულია ქალა-  
ქის პატარ-პატარა აგურებისაგან. ამავე აგუ-  
რებისაგან არის გაკეთებული კიბეები, ფან-  
ჯრები, ქერი და იატაკი. ქალაქის აგური  
მოჭრილია ნიუ-იორკში, გუგუნილის ქარ-  
ხანაში. სახლი სიმაღლით 7 საფენია, სი-  
განით 4 საფენი. ეს სახლი დამადარა 800  
თუმანად. სტუმრებმა რომ მთელი სახლი  
დაიარეს და დიდ დარბაზში დასდნენ (მთელს  
სახლში სულ 16 ოთახია) სადილად, მის-  
მასპინძელმა განაცხადა, რომ სახლის ყველა  
ავეჯი და სკამები-კი გაკეთებულია ქალა-  
ქისაგან იმავე ქარხანაში, ანერკაში.  
სახლი ააშენა ინჟინერი სმიტმა, რომე-  
ლიც ამტკიცებს, რომ ეს შენობა უფრო  
დიდხანს გასძლებს, ვიდრე ქვისა ან ხისაო.  
ამბობენ, რომ ამ სახლის პატრონს მ-  
კოს განზრახვა აქვს გამართოს ქარხანა ქა-  
ლაქის აგურის გასაკეთებლადო.

მარტო აღმართა არ იცის სხვის შეი-  
ლის შებრალება და მოხილება. ცხოველთა  
შორის ბევრია ისეთი, რომ სხვის შვილს  
შეითვისებს ხოლმე და საკუთარ შვილებთან  
ერთად გამოზრდის. ამას წინაღ ინგლისის  
ერთი სოფელში ორი დამბლებული ბატკა-  
ნი მიჰყავრეს ფურს, რომელიც სიამოვნე-  
ბით ჰყვებოდა ბატკებს. მერე კიდევ ორი  
ბატკანი მიჰყავრეს. ფური ყველას ჰყვებო-  
და, ლოკავდა და ისე აღურსიანად ექცეოდა  
ბატკებს, როგორც საკუთარს ხბოს.  
\*\*\*  
ნორვეგიაში ამ უამად სასტიკი ღონისძიე-  
ბა მიღებული თამბაქოს წვეისა და ლო-  
თობის წინამძღოლად. სტორტინგის პარლამენ-  
ტის წევრებმა შეადგინეს კანონ-პროექტი,  
რომლის ძალით ვაჭრებს დაეკლებენ, რომ  
თექვსმეტის წლისაზე ახალგაზრდა კაცს თამ-  
ბაქო არ მიჰყიდონ. იმავე კანონის ძალით  
ნება არ მიეცემათ ბავშვებს ქარხნებში მუ-  
შაობისა. პოლიციას ბრძანება მიეცემა წა-  
ართვას ხოლმე ახალგაზრდებს ჩიბუხები, პა-  
პიროსები და სიგარეტები, სადაც-კი მისწრ-  
ბენ. ვინც ამ კანონს არ შესრულებს, ჯა-  
რისა უნდა გადაიხადოს. ასეთივე კანონ-მდ-  
ბლობა დამტკიცებული ამერიკის შტატებ-  
ში. ამ უამად ოცდაათ შტატში აკრძალულია  
აქეთ თამბაქოს მოწვევა თექვსმეტის წლისა-  
ზე ნაკლებ ახალგაზრდებს, ზოგიერთ სხვა  
შტატებში-კი ყველა იმათ, ვინც ჯერ სრუ-  
ლი წლოვანი არ არის. როგორც ნორვეგი-  
ის სტორტინგის წევრნი, ისე ამერიკის კა-  
ნონმდებელნი ამბობენ, ეს კანონი იმიტომ  
დაეარსეთ, რომ თამბაქოს წვევა მცირე  
წლოვანთათვის ძლიერ მავნებელია.

მეცნიერი გულდშეიდტი ამტკიცებს, რომ  
დღემიწის გაჩენის დღიდან გაცილებით  
მეცნიერი გულდშეიდტი ამტკიცებს, რომ  
დღემიწის გაჩენის დღიდან გაცილებით

უფრო მეტი ხანი გავიდა, ვიდრე ჩვენს  
პკონიაო. გულდშეიდტი ამ უამად მსაწე-  
წიკითხლექცია ედინბურგის საფიზიკო საზო-  
გადოების კრებაზე. ამ მეცნიერის გამოკლე-  
ვით, მას შემდეგ, რაც დღემიწის მცენარე  
და ცხოველი გაჩნდა, სულ ცოტა 1,400  
მილიონ წელიწადს უნდა გაველოსო.

### თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა თელავში  
თელავი დიდ ქალაქებთან შედა-  
რებით უყულობართად სარგებლობს  
სასცენო სეზონით: თელავში სწო-  
რედ ზაფხულობით გაცხოველდება  
ხოლმე სასცენო საქმე ხანდახან. სა-  
უკეთესო მსახიობნი ეწვევიან ხოლმე  
თელავს ზაფხულობით და თავისს  
თამაშობით უნერგავენ საზოგადოე-  
ბას ნამდვილის ხელოვნების პატივის-  
ცემას. ვგონებ თელავი ერთად-ერთი  
სამაზრო ქალაქია, რომელიც უძღვე-  
ბა წელიწადში 30 წარმოდგენას და  
კონცერტს. ერთმანეთზედ თითოეუ-  
ლის გასართობის შემოსავალი 100  
მან. რომ ჩავაგდოთ, გამოვა, რომ  
თელავი ყოველ წელიწადს ხელოვნე-  
ბის ღმერთის სამსხვერპლოზედ  
სდებს „ყოველად დასაწველად“ 3,000  
მან. მკითხველი იფიქრებს, რომ ამ-  
დენის მსხვერპლის მომტანს სათეატ-  
რო საქმე უკეთესად ექმნება მოწყო-  
ბილი, ვიდრე სხვა სამაზრო ქალა-  
ქებსა აქეთო. მართალია, რაც თე-  
ლავიდან არ არის დამოკიდებული,  
მაგალითებრ, ქართულ დრამატიულ  
დასის საუკეთესო მსახიობთა შორის  
კახელები თითქმის უმრავლესობას  
შეადგენენ, რის გამოც კახელი მსა-  
ხიობნი ზაფხულობით კახეთში არიან  
და ხან ზამთრობითაც, როცა ბედი  
ზურგს შეატყვევს; მაგრამ, სამაგიე-  
როდ, რაც კი თელავისაგან არის  
დამოკიდებული, როგორც, მაგ., სა-  
თეატრო შენობა, სასცენო ტანისა-  
შარხი, სცენის მოწყობა-მორთულო-  
ბა, პრესების არჩევა და სხვ. ყველა  
ამისათვის-კი თელავი თითხაც არ  
ანძრევს. ერთად-ერთი კაცია, რომე-  
ლიც ამ მხრივ ჰზრუნავს შეძლების  
დაგვარად, მაგრამ რას გააწყობს იქ  
ერთი კაცი, სადაც მრავალია საქი-  
რო. ერთი კაცი და ისიც სცენის  
მეტის-მეტის სიყარულისაგან გაფე-  
ქნილი და გაძარცული. ეს ერთი  
კაცი გახლავთ აჯ-მამულაშვილი. ამ  
ზაფხულს, ჩვეულებრივ მონაწილეთა  
გარდა, იმას მოუწვევია ბ-ნი ალექსი-  
მესხიშვილი ქნ გვეტაძეთურთ და  
გაუმართავს სამი წარმოდგენა, რა-  
მელთაგან, რასაკვირველია, თვით  
ბ-ნი აჯიმამულაშვილს არა დარჩენია-  
რა და საკმარისად ვერც მოწვეულნი  
დაუკმაყოფილებია. ამიტომ ახალ-  
გაზრდობას უთხოვინა ბ-ნი ალექსი-  
მესხიშვილისათვის მეოთხე წარმოდ-  
გენის გამართვა და თავიანთ მხრივ  
სრული დახმარება აღუთქვამთ. ასეც  
მოხდა. 20 აგვისტოს იყო უკანასკ-  
ნელი წარმოდგენა ქართულად. წა-  
რმოდგენილ იქმნა „დამნაშავეს ოჯა-  
ხი“ ნ მოქ. დრამა ჯიოკომეტისა და  
„წერილები შეშლილისა“, თხ. გო-  
გოლისა, რომელიც რუსულს ენაზედ  
(?) წაიკითხა ბ-ნმა ალექსი-მესხი-  
შვილმა.  
ქ-ნი საგორაშვილისა პირველად  
ენახეთ სცენაზედ და, ჩვენის აზრით,  
ნიქს მოკლებული არ უნდა იყოს.  
დრამაში იგი პირველად გამოვიდა  
და თუ მივიღებთ მხედველობაში,  
რომ მისთვის წარმოდგენის წინა

დღეს მიეცათ როლი როზალიასი, იგი არც ერთს რეპეტიციას არ დასწრებია, უცხო ალბას და უცხო გარემოებით გარემოცული თამაშობდა, იმედია, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დრამატული როლებში ცუდი არ უნდა იყოს. ქ-ნი გვეტაძის ემას როლში სუსტობდა, რის მიზეზიც ისიცაა, რომ იგი 11-12 წლის ბავშვის როლს თამაშობდა და პიესით-კი, 16 წლის ქალი უნდა ყოფილიყო. 11-12 წლის ქალი და 16 წლის ქალი ერთი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან. ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ ჩვენ მსახიობს ქალებსა და განსაკუთრებით რეჟისორებს. მართალია, სასიამოვნო სანახავია, როცა მოწიფული მსახიობი ქალი გარდქმნება 11-12 წლის ბავშვად, მაგრამ ეს სიამოვნება ვერ შევასვენებ იმ დანაკლისს, რომელიც პიესის შინაარსის დარღვევით წარმოსდგება.

ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი კორიდას როლში ისეთი ძლიერი არ იყო, როგორც ყოფილა წინა წარმოდგენებში. მართალია, ბევრი ცრემლი გამოიწვია, მაგრამ უფრო ძლიერი იმოქმედებდა, როლის წვრილმანს რომ უკეთესად დაკვირვებოდა. მეორე მოქმედებაში, როდესაც იგი დალაულ დაქანცული, ავადმყოფი და მშვიერი შემოდის, ისე რომ ძლიერს სდგას ფეხზე და ისიც ჯობის შემწვობით, მონსინორთან საუბრის შემდეგ, რომელიც დიდ ხანს არ გასტანს, რასაკვირველია, ვერ გარდქმნებოდა ჯან-მრთელ ადამიანად, თუმცა შეიძლება მოეკრიბა უკანასკნელი ღონე და მცირე რამ ცვლილება შესტყობოდა. ბ-ნ მესხიშვილი კი მეტად უძლური შემოვიდა და მეტად ჯანსაღი გავიდა, რაც ნამდვილს არ შეეფერება. ასეთი ნაკლი სხვაც შევნიშნეთ, მაგრამ ესეც კმაშა. შეშლილის წერილები ადრე უფრო უკეთესად წაუკითხავს. აქ მიზეზი თვით მსახიობი არ არის, არამედ მისი საუკეთესო ხმის დაკარგვა.

მეორედა ვხედავ სცენაზედ ბ-ნ გ. ყახაზაშვილსა. მართალია, იგი სცენის მოყვარულთაგანია, მაგრამ დახელოვნებულად უნდა ჩაითვალოს. საკვირველის სინამდვილით დაგვიხატა გაიძვრაობა, გამყიდველობა და დაუნდობლობა იეზუიტისა მონსინორისა.

თ. ვახვახიშვილი დონ ფერნანდოს როლში იმდენად კარგი იყო, რომ მაყურებელს იგი ნამდვილი მსახიობი ეგონებოდა, ქართულში რომ არა ჰყოლობდეს. ეს ნაკლი მეტად ეხამუშება მაყურებელ — მსმენელის ყურს რასაკვირველია, იგი ადვილად ასაცილებელია იმ ნიჭთან, რომელიც ცხადად ამჩნევია ბ-ნს ვახვახიშვილს. ბ-ნი ზურაბიშვილი მრავალჯერ გვიანხავს სცენაზედ და ყოველთვის შეგვიმჩნევია როლის შეგნებით შესწავლა, გაბედულება და სცენაზედ დაშინაურება, ყველა ამ ღირსებასთან მარადის ერთი ნაკლი აქვს: ხმა ვერ დაუმორჩილებია. ასე მოხდა პალმიერის როლშიც. იმის მშვიდობიანსა და მკაცრს ლაპარაკს ერთმანეთისაგან არავითარი გარჩევა არა აქვს. პატერის როლში აჯიმამულაშვილი არა ჰვალდა იმ პატერს, რომელიც აბატის მარჯვენა ხელს შეად-

გენს, იგი სამგლოვიარო ეტლის ცხენების მოჯილაგეს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე იეზუიტების ორდენის წევრსა. საზოგადოდ წარმოდგენამ ისე ჩაიარა, რომ არ ვიცი, თვით წარმოდგენას უფრო მეტი დრო მოუხდა, თუ ბ-ნ მესხიშვილის გამოძახებასა და ტაშის კვრას. ვგონებ, უკანასკნელს უფრო მეტი დრო მოაწოდებია მაყურებელმა საზოგადოებამ. სათეატრო დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით. ხალხი მეტი იყო, ვიდრე ადგილი არის და ამიტომ შემოსავალიც სრულს შემოსავალს გადაჭარბა რამდენსამე თუმნით.

ნადიკვრელი

# დებემა

(რუსეთის დეპუტათა სააგენტოსაგან).

23 აგვისტო

**სამსახროკოლი.** 12 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, საიმპერატორო მატარებელი მიუახლოვდა სამეფო ნავთ სადგურს, სადაც შეიკრიბნენ მთავრობის მოხელენი, გენერალ-ადიუტანტის გრაფის მუსინ-პუშკინის და აღმირალის ტირტოვის მეთაურობით. საპატია დარაჯის მიღების შემდეგ, მათ იმპერატორებით უდიდებულესობის წინაშე წარსდგნენ ყველანი იქ დამსწრენი, შემდეგ მათი უდიდებულესობანი „შტანდარტ“-ის იალქნიან გემში ჩაბრძანდნენ. ნაშუადღევს 3 საათზედ გემებიდან ზარბაზნები გაისროლეს. ხელმწიფე ყველა გემს წინ გაუარა. ამ დროს იქ იდგა 34 გემი. მათ შორის საფრანგეთის ნაღმიანი გემიც „ყუმბარა“. შემდეგ მათი უდიდებულესობა „შტანდარტ“-ზედ ჩაბრძანდა, საიდგანაც ესკადრას მადლობა გამოუცხადა. საღამოზედ ჩირაღდანი აანთეს. „შტანდარტ“-ის წინ ტივებზედ სხვადასხვა ჩარკეტრმა და იტალიანურის ოპერის მომღერალთა ხორომ კონცერტი შეასრულა.

**სამსახროკოლი.** 22 აგვისტოს მოხდა ჯარის უმაღლესი ალლუმი. ალლუმს დაესწრნენ მათი უდიდებულესობა დედოფალი იმპერატრიცა და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. ალლუმის შემდეგ, მათი უდიდებულესობანი გალახოვის კუროგანზედ წავიდნენ, რომელიც დაწვრილებით დათვალიერეს.

**პარიში.** „Temps“-ი უკმაყოფილებას აცხადებს იმ სახელმწიფოთა გახეთების წინააღმდეგ, რომელნიც ამბობენ იარაღის აყრის პროექტის გამო, რომ საფრანგეთი თანახმა არ იქნება ამ პროექტისა და თუ ეს საქმე არ აღსრულდა, საფრანგეთი იქნება დამნაშავეო.

**სტოკოლმი.** შვეციისა და ნორვეგიის მინისტრთა საბჭომ განიხილა წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრის წინადადებით, მეფემ გარდასწვიტა გამოუცხადოს ხელმწიფე იმპერატორს თანაგრძნობა, მიიღოს მიწვევის წინადადება და როდესაც კონფერენცია მოხდება, წარმომადგენლები გაზგზავნოს.

**ლონდონი.** გენერალი კიჩინერი დებეშით იუწყება, რომ ინგლისის ერთმა მცირეგემმა სრულიად

გასწმინდა ნილოსის მარჯვენა ნაპირი, გაანადგურა სანაპირო და კუნძულ ტუტის სიმაგრეები და ხელთ ჩაიგდო მტრის იარაღი. ინგლისელებს არაფერი უზარალნიათ.

**კონსტანტინოპოლი.** სულთანმა მიანლო პეტერბურგში მყოფ თავის ელჩს მადლობა გამოუცხადოს ხელმწიფე იმპერატორს იარაღის აყრის შესახებ ლაპარაკის აღძვრის გამო და აგრეთვე კონფერენციაში მიღების თანხმობა.

**ლონდონი.** ინგლისელებმა აიღეს ამღურმანი. ინგლისელებმა დაკარგეს—2,000 კაცი, ხოლო დერვიშებმა—8,000 კაცი.

**პარიში.** მინისტრებმა გადასწყვიტეს, რომ მთავრობამ არ უნდა იტვირთოს საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის დაწყება, არამედ უნდა მოუცადოს პარლამენტის სესიის განახლებას, თუ ქ-მა დრეიფუსმა კანონზედ დამყარებული თხოვნა არ შემოიტანა საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის შესახებ.

„Matin“-ი ამბობს, რომ სარიენი და ბრისონი საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის მომხრენი არიანო. სარიენმა შეადგინა თავისი შეხედულება, წარჩინებულ მოხელეთა აზრზედ დამყარებული, რომელიც იმას ამბობენ, რომ ანრის მიერ ჩადენილი სიყალბე ისეთ შემთხვევას შეადგენს, რომელიც წინააღმდეგ განსაზღვრულია სისხლის სამართლის გამოძიების კანონით. იურისკონსულტები იმის გამოკვლევაში არიან: ანრის ჩვენება 1894 წლის სასამართლოს წინაშე, იმის შემდეგ რაც გამოაშკარავდა სიყალბე, საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს თუ არა. საზოგადოდ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ბრისონი და კვენიაკი შეთანხმდებიან.

**პარიში.** კვენიაკმა თანამდებობას თავი გაანება, რადგანაც კაბინეტის უმრავლესობას ვერ მოურიგდა იმის შესახებ—დრეიფუსის საქმე ხელ-ახლა უნდა იქმნას გადასინჯული თუ არა.

24 აგვისტო

**სამსახროკოლი.** 22 აგვისტოს მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს პატარა ბავშვები ხერსონის მონასტერთან, იქიდან წაბრძანდნენ მონასტერს და ჰნახეს მუზეუმი ძველის ხერსონის ნაშთებისა.

სალამოს 11 საათზედ დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე საგანგებო მატარებლით ჩრდილოეთისაკენ წავიდა.

**კიივი.** ბუნების-მეტყველთა და მკურნალთა საზოგადო კრებაზედ დადგინეს განუცხადონ მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას, დიდებულს მფარველს მეცნიერებისა და თვით-მკურნალებს დამცველს ერის კულტურულ წარმატებისას გრძობანი ღრმა თავყვანის-ცემისა და მოწიწებისანი იმ დიდ-სულოვან მოქმედებისა გამო, რომლითაც მან მოიწვია ყველა განათლებულნი ერნი სამოქალაქო წარმატების სარბიელზედ სამშვიდობო სამუშაოებზედ.

**პარიში.** ხმა დადის, რომ მინისტრები ბიჟე და ტილოეც თავს ანებებენ სამსახურსაო. ზოგიერთი გახეთები დაბეჯითებით თხოულობენ, რომ პალატანი იქმნენ მოწვეულნი.

**პარიში.** კიჩინერი დებეშით იუწყება, რომ 23 აგვისტოს დილით დერვიშები თავს დაეცნენ ინგლისის ჯარს, მაგრამ დიდად დაზარალებულნი უკუ ქვეულ იქმნენ და ინგლისელებმა ობდურმანი დაიპყრესო. კალიფი გაიქცა და მდევრად ცხენოსანი ჯარი გაჰყვაო.

**პარიში.** ქ-მა დრეიფუსმა მიჰმართა სარიენს და სთხოვა, რომ ჩემის ქმრის საქმე, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების მე 443 მუხ. შესამე პარაგრაფის ძალით, ხელ-ახლა განიხილეთო. მინისტრები არიან მოწვეულნი საათობიროდ. ხვალ ისინი განიხილავენ ქ-ნ დრეიფუსის თხოვნას.

აქ იმ აზრისანი არიან, რომ კვენიაკის თანამდებობიდან გადადგომა შედეგად ბრისონის კაბინეტის მიერ სამსახურიდან გასვლა არ მოჰყვებაო.

**პარიში.** სადღესასწაულო ღვთის მსახურების გარდახდის შემდეგ ვატერლოს სვეტის მოედანზედ იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა და გაიხსენა, რომ ვატერლოს თუ მოვიგონებთ, ინგლისელები გერმანელების ძმები არიანო. ბოლოს ჯარს მიჰმართა და დასძინა: „ინგლისის ჯარმა ამ რამდენისამე საათის წინად აფრიკაში გაცილებით ძლიერს მტერზედ გაიმარჯვა შესძახეთ ჩემთან ერთად „ვაშა“ ინგლისის დედოფლის პატივსაცემლად.

## წერილი ჩადაქციის მიხარით

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ლუკა დავითის ძეს სიხარულიდეს, რომელმაც შეპყრობა ქ. ბათუმში ჩახატურის უფასო სამკითხველს სასარგებლოდ 18 მან. ფულად და ათი ცალი წიგნი, ლირებული 1 მან., და იმათ, ვინც შემწეობა აღმოუჩინა სამკითხველს.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჭებისათვის (წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჭებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მკოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგ ბავშვები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჯალტრეა (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა სასხვაგანო ჩათქით, 5) საკომერციო მიწერა, 6) საკალგრა და სათამაშო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერგაგრა და შნაანა (исправление дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემოსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სსსხა ალექსანდრე ფრედანკისა, № 9, სერგაივისა და მთის ქუჩაზე, აფთაქის ბარდაში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამმარხებელს ს. შ. მანუელანსს, ტფილისს. (24—21)

## პელარის პერის ესენცია

ისყიდება ყველგან ყველს დიდ ვაჭართან.

კელერის მიერ დამზადებულ ძმრის ესენციის კარგის ღირსებისა და ყველა სხვა ძმრის ესენციებთან შედარებით უპირატესობისა გამო დილით-დღე ჰმატულობს ამ ესენციის მყიდველთა რიცხვი, ასე რომ წარსულს წელს გაიყიდა 800,000 შუშა, რამაც შეიძლება აზნაგობას გაეიფებინა იგი და კიდევ გააიფაო.

იფუფასად სხვებიც ჰყიდიან, მაგრამ მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ ისინი აიფებენ იმიტომ, რომ მეტოქეობა გაუწიონ ჩვენს მიერ დამზადებულ ძმრის ესენციას და ამისგან წყალს ურევენ და ესენციას აკლებენ ჯეროვან გემოს (укрепшая эссенция). (3—მ.—2)

სია შემომწირველთა: პატარა გოგონა ცლივა—2 მან., იასონ ჩხიკვაძე, ლუკა სინარულიძე, ვასილ სულაძე, ტარასი იასონ, მაკოლბლიშვილი და იოსებ კალანდაძე—თითო მან., ვასილ ქორჩილაძე—ათი ცალი წიგნი, ლირებული 1 მან., იროდი თვალაძე, გერასიმე ურუკაიშვილი, მიხ. მაიდანელი, ნიკოლოზ ბახტაძე, მელიტონ გვალა, ნიკოფორ ბასილ. ჭიხვარია, ლახარე ჯორჯიანი, უცხო, პავლე ფარნ. ქელიძე, თლოფანე მეგრელიშვილი, პანტელეიმონ სიმ. თოდროია, სიმონ ცენტრადე, გიორგი საბახტარიშვილი, ილარიონ ბერძენიშვილი, მელქისედექ ქალანთარაძე და სერგი გურგენიძე—ათათი შაური, ს. ნაცვლიშვილი—40 აპ., ილია მოსეშვილი, ნიკოფორე სვანიძე, ნოე ანჯაფარაძე და პეტრე საშინია—ექვსეტი შაური, გიორგი გოგელია—25 კაპ., უცნობი, გიორგი მოსეშვილი, სიმონ კაკარავა, სერაფიმონ ვაჰანიანი და არტემ პეტროსოვი—თითო აბაზი და ივანე მსხილაძე—15 კაპ.

ჩახატურის უფასო სამკითხველს კომიტეტის წევრები: გრ. ქუთათელაძე და კონსტ. მგელაძე

## ბანსხალეპანი

ТОВАРИЩЕСТВО  
Брокаръ и Ко.  
ИЗОБЪРАТЕЛИ  
ГЛИЦЕРИНОВОЙ  
ПУДРЫ.  
СРЕДСТВО  
ДЛЯ СМЯГЧЕНИЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка с пухови. 80 к.  
Коробка без пухови. 50 к.

(11—მ.—3)